



9615/1-6/21 2 20092021



9615/1-6/21
20-09-2021

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში
სახელმწიფო მინისტრის ქალბატონ თეა ახვლედიანს

ქალბატონო თეა,

მოგესხენებათ, რომ გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისიის რიგით მეოცე სხდომაზე გაჟღერდა ინფორმაცია, რომ კომისიის მიერ იქნება შემუშავებული გეგმა და გამოიყოფა სახსრები სოფელ ზარდიაანთკარში 2008 წლის საომარი მოქმედებების შედეგად დაზიანებულ სახლების აღდგენითი სამუშაოების ჩასატარებლად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

- რა ვადებში, რამხელა ბიუჯეტით და რამდენი სახლის რეაბილიტაციაა დაგეგმილი სოფელ ზარდიაანთკარში (გთხოვთ აღნიშნული ინფორმაცია მოგვაწოდოთ ჩაშლილად, ზუსტი ვადების და სახლების რაოდენობის მითითებით);
- იგეგმება თუ არა სოფელ კნოველში, 2008 წლის ომის შედეგად დანგრეული სახლების აღდგენითი სამუშაოები (გთხოვთ აღნიშნული ინფორმაცია მოგვაწოდოთ ჩაშლილად, ზუსტი ვადების და სახლების რაოდენობის მითითებით);

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ლევან იოსელიანი



**საქართველოს სახელმწიფო მინისტრი
შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში**

**STATE MINISTER OF GEORGIA
FOR RECONCILIATION AND CIVIC EQUALITY**

N 1581
04/10/2021

1581-1-2-202110041635



საქართველოს პარლამენტის წევრს
ბატონ ლევან იოსელიანს

ბატონო ლევან,

თქვენი მიმდინარე წლის 20 სექტემბრის N9615/1-6/21 წერილთან დაკავშირებით, რომლითაც ითხოვთ ინფორმაციას 2008 წლის საომარი მოქმედებების შედეგად დაზიანებული სახლების აღდგენის გეგმის თაობაზე, გაცნობებთ შემდეგს:

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, როგორც კომისიის თანათავმჯდომარე უწყება, კოორდინაციას უწევს განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებით სამთავრობო კომისიის საქმიანობას. 2021 წლის 29 ივლისის N22 სხდომაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, კომისიამ იმსჯელა სოფელ ზარდიაანთკარში 2008 წელს ომის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების საკითხთან დაკავშირებით და მიიღო რიგი გადაწყვეტილებები, კერძოდ, ეთხოვოს:


- გორის მუნიციპალიტეტს - უზრუნველყოს 28 დაზიანებული სახლის (რომელთა მესაკუთრეებსაც არ მიუღიათ კომპენსაცია) მესაკუთრეებთან მოლაპარაკებების წარმოება და წერილობითი შეთანხმებების გაფორმება, რომელიც გულისხმობს აღნიშნული ოჯახების მხრიდან თანხმობას მასზედ, რომ სახელმწიფოს მხარდაჭერით მათი საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაციის შემთხვევაში ისინი დაბრუნდებიან საცხოვრებლად სოფელ ზარდიაანთკარში, და ასევე გაათავისუფლებენ ამჟამად საცხოვრებლად დაკავებულ ფართებს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ შენობებში.

- გორის მუნიციპალიტეტს - უზრუნველყოს დაზიანებული სახლების ფაქტობრივი მდგომარეობის შესახებ ექსპერტული დასკვნების მომზადება (შენობების მდგრადობის გადამოწმებასთან ერთად აღიწერება, თუ რა სამუშაოები არის დამატებით ჩასატარებელი საცხოვრისად ვარგისი მდგომარეობის მისაღებად. კერძოდ: მდგრადობის შეფასება; სახურავის, კარ-ფანჯრის, შიდა და გარე მოპირკეთების საჭიროება, შიდა ელექტრო გაყვანილობის აღდგენის ან/და მოწყობის საჭიროების შეფასება და სხვა). გორის მუნიციპალიტეტი ასევე მოამზადებს აღნიშნული რეაბილიტაციისათვის შესაბამის პროექტს და წარმოადგენს მისი განხორციელებისათვის საჭირო ფინანსური რესურსების შესახებ დაზუსტებულ ინფორმაციას.
- შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციას - ზემოთ აღნიშნულ პროცესებში მეთოდური მხარდაჭერა გაუწიოს გორის მუნიციპალიტეტს.
- კომისიის გადაწყვეტილებით, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი განახორციელებს დონორებთან კომუნიკაციას სოფელ ზარდიაანთკარში 2008 წელს ომის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების (რომელთა მესაკუთრეებსაც არ მიუღიათ კომპენსაცია) რეაბილიტაციისათვის შესაძლო თანადაფინანსების მოზიდვის მიზნით. აღნიშნულ საკითხზე პირადად სახელმწიფო მინისტრის მიერ დაწყებულია კონსულტაციები დიპლომატიური კორპუსისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. მათ გაეცნოთ კომისიის გადაწყვეტილება და შეთანხმდა შემდგომი თანამშრომლობის გეგმა.
- საქართველოს ფინანსთა სამინისტრო წარმართავს მუშაობას საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებისა და პროექტის განხორციელებისათვის საჭირო ფინანსური რესურსების შევსების მიზნით.

ასევე გაცნობებთ, რომ ზარდიაანთკარი წარმოადგენს იმ სოფელს, რომელიც 2008-2012 წლებში ოკუპირებული იყო და რომელიც ყველაზე გვიან დატოვა საოკუპაციო ძალებმა. სახელმწიფო პრიორიტეტს ანიჭებს გამყოფი ხაზის მიმდებარედ ძირითადი მოსახლეობისგან დაცლილი სოფლის აღდგენასა და იმ დაზარალებული ოჯახების დახმარებას, რომლებსაც სახელმწიფოს მხრიდან კომპენსაცია არ მიუღიათ. რაც შეეხება ომის შედეგად სხვა სოფლებში დაზიანებული სახლების საკითხს, იგი ასევე განიხილება მომდევნო კომისიის სხდომებზე.

პატივისცემით,

თეა ახვლედიანი




სახელმწიფო მინისტრი

ხელმძღვანელობა



საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის წევრი



9616/1-6/21 2 20092021



9616/1-6/21
20-09-2021

საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის
მინისტრს ბატონ ირაკლი ქარსელაძეს

ბატონო ირაკლი,

მოგესხენებათ, რომ გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისიის რიგით მეოცე სხდომაზე გაჟღერდა ინფორმაცია, რომ კომისიის მიერ იქნება შემუშავებული გეგმა და გამოიყოფა სახსრები სოფელ ზარდიაანთკარში 2008 წლის საომარი მოქმედებების შედეგად დაზიანებულ სახლების აღდგენითი სამუშაოების ჩასატარებლად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

- რა ვადებში, რამხელა ბიუჯეტით და რამდენი სახლის რეაბილიტაციაა დაგეგმილი სოფელ ზარდიაანთკარში (გთხოვთ აღნიშნული ინფორმაცია მოგვაწოდოთ ჩაშლილად, ზუსტი ვადების და სახლების რაოდენობის მითითებით);
- იგეგმება თუ არა სოფელ კნოველში, 2008 წლის ომის შედეგად დანგრეული სახლების აღდგენითი სამუშაოები (გთხოვთ აღნიშნული ინფორმაცია მოგვაწოდოთ ჩაშლილად, ზუსტი ვადების და სახლების რაოდენობის მითითებით);

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ლევან იოსელიანი



საქართველოს რეგიონული განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის სამინისტრო

MINISTRY OF REGIONAL DEVELOPMENT AND
INFRASTRUCTURE OF GEORGIA

3414-01-2-202109301414



N 01/3414

30/09/2021

საქართველოს პარლამენტის წევრს

ბატონ ლევან იოსელიანს

ბატონო ლევან,

თქვენი წერილის (9616/1-6/21 20-09-2021; სამინისტროში რეგისტრაციის ნომერი- 5782/01 20.09.2021) პასუხად მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 29 ივლისს, ქალაქ გორში, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისიის N22 სხდომაზე განხილულ იქნა გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზარდიაანთკარში 2008 წელს ომის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების შესახებ საკითხი და მიღებულ იქნა შემდეგი გადაწყვეტილებები:

- გორის მუნიციპალიტეტს ეთხოვა:
 - უზრუნველყოს 28 დაზიანებული სახლის (რომელთა მესაკუთრეებსაც არ მიუღიათ კომპენსაცია) მესაკუთრეებთან მოლაპარაკებების წარმოება და წერილობითი შეთანხმებების გაფორმება, რომელიც გულისხმობს აღნიშნული ოჯახების მხრიდან თანხმობას მასზედ, რომ ისინი დაბრუნდებიან საცხოვრებლად სოფელ ზარდიაანთკარში, სახელმწიფოს მხარდაჭერით მათი საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაციის შემთხვევაში და ასევე გაათავისუფლებენ ამჟამად მათ მიერ საცხოვრებლად დაკავებულ ფართებს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ შენობებში;
 - უზრუნველყონ დაზიანებული სახლების ფაქტობრივი მდგომარეობის შესახებ ექსპერტული დასკვნების მომზადება (შენობების მდგრადობის გადამოწმებასთან ერთად აღიწერება თუ რა სამუშაოები არის დამატებით ჩასატარებელი საცხოვრისად ვარგის მდგომარეობამდე მისაღებად (მდგრადობის შეფასება; სახურავის, კარ-ფანჯრის, შიდა და გარე მოპირკეთების (მათ შორის შიდა ელექტრო გაყვანილობის) აღდგენის ან/და მოწყობის საჭიროების შეფასება);
 - მოამზადოს აღნიშნული რეაბილიტაციისათვის შესაბამისი პროექტი და წარმოადგინოს ამ პროექტის განხორციელებისათვის საჭირო ფინანსური რესურსების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია;
- შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციას ეთხოვა ზემოთ აღნიშნულ პროცესებში მეთოდური მხარდაჭერა გაუწიოს მუნიციპალიტეტს;
- შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრს ეთხოვა დონორებთან კომუნიკაცია სოფელ ზარდიაანთკარში 2008 წელს ომის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების (რომელთა მესაკუთრეებსაც არ

მიუღიათ კომპენსაცია) რეაბილიტაციისათვის შესაძლო თანადაფინანსების მოზიდვის მიზნით;

- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ეთხოვა წარმართოს მუშაობა საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებისა და პროექტის განხორციელებისათვის საჭირო ფინანსური რესურსების შევსების მიზნით.

სოფელ ზარდიაანთკარში 2008 წელს ომის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების შესახებ საკითხის გადაწყვეტის დროის და ბიუჯეტის განსაზღვრა დამოკიდებულია ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებების განხორციელებაზე.

სახელმწიფოსთვის პრიორიტეტულია ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარედ არსებული ძირითადი მოსახლეობისგან დაცლილი სოფლის აღდგენის საკითხი, და მნიშვნელოვანია იმ დაზარალებული ოჯახების დახმარება, რომლებსაც სახელმწიფოს მხრიდან კომპენსაცია არ მიუღიათ. როგორც მოგეხსენებათ, ზაარდიაანთკარი წარმოადგენს იმ სოფელს, რომელიც 2008-2012 წლებში ოკუპირებული იყო და რომელიც ყველაზე გვიან დატოვა საოკუპაციო ძალებმა. შესაბამისად, ომის შედეგად სხვა სოფლებში დაზიანებული სახლების საკითხები, რომელთა მესაკუთრეებსაც სახელმწიფოს მხრიდან კომპენსაცია არ მიუღიათ განხილული იქნება ეტაპობრივად.

პატივისცემით,

ირაკლი ქარსელაძე

მინისტრი

